

# საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი #9

ქ. საჩხერე

25 აგვისტო 2020 წელი

2020 წლის 25 აგვისტოს 15:00 საათზე გაიმართა საკრებულოს ბიუროს სხდომა

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე-ლევან ივანაშვილი

## სხდომას ესწრებოდნენ:

- 1) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-ირაკლი ჩხიკვაძე
- 2) საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე-ლია დეკანოიძე
- 3) აგრარულ საკითხთა, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე-კობა ხვედელიძე
- 4) ჰუმანიტარულ საკითხთა (განათლება, კულტურა, ახალგაზრდობა) კომისიის თავმჯდომარე- მარინა კაციტაძე
- 5) ეკონომიკურ და ინფრასტრუქტურულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე- იაგო ბერიძე
- 6) ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ერეკლე ჭილაძე
- 7) ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე-მარინე დემეტრაშვილი

## არ ესწრებოდნენ:

- 1) ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე-გიორგი ხარშილაძე
- 2) ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე-გაგა დარბაიძე

## სხდომაზე მოწვეული პირებიდან ესწრებოდა:

საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე-კობა ქიმაძე

## დღის წესრიგი

1. საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის მომართვის (N53/3324; 21/08/2020) განხილვის შესახებ, („საჩხერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 ნოემბრის #32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე).

/მომხსენებელი: ლია დეკანოიძე/

2. საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის მომართვის (N53/3299; 28/07/2020) განხილვის შესახებ, (საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 ივლისის #24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე).

/მომხსენებელი: ლია დეკანოიძე/

3. საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის მომართვის (N53/2837; 28/07/2020) განხილვის შესახებ, („საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მოსახლეობის სოციალური დახმარების სახეების ფინანსების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 იანვრის #56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე).

/მომხსენებელი: გაგა დარბაიძე/

4. საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის მომართვის (N 53/2988; 05/08/2020) განხილვის თაობაზე, („მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოდრავი ქონების შპს „საჩხერის წყალკანალი“-ს საწარმოს კაპიტალში შეტანის მიზნით საჩხერის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“).

**/მომხსენებელი: იაგო ბერიძე/**

5. საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის მომართვის (N53/3258; 20/08/2020) განხილვის თაობაზე, (მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გაცემის მიზნით, საჩხერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ).

**/მომხსენებელი: იაგო ბერიძე/**

6. „საჩხერის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების მიზნით 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმისა და 2020 წლისათვის განსაზღვრული პროექტების მოწონების შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 დეკემბრის #54 53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**/მომხსენებელი: იაგო ბერიძე/**

7. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებთან დაკავშირებით საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო შეხვედრების ადგილების განსაზღვრის შესახებ.

**/მომხსენებელი: მარინა კაციტაძე/**

8. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებთან დაკავშირებით საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტენდების (ბილბორდების) დასადგმელად და საარჩევნო პლაკატების განსათავსებლად ადგილების გამოყოფის შესახებ).

**/მომხსენებელი: მარინა კაციტაძე/**

#### **მოისმინეს:**

1. „საჩხერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 ნოემბრის #32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**მომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე-ლია დეკანოიძე**

მომხსენებელმა ბიუროს მოახსენა, რომ დადგენილების პროექტში, მეცხრე ცვლილების შეტანა განპირობებულია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 ივლისის #1419 განკარგულებით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის #2630 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე „საქართველოს რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ ფარგლებში, საჩხერის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 1376027 ლარის ბიუჯეტში ასახვით, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 აგვისტოს #1573 განკარგულებით საჩხერის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 327562 ლარის ასახვით და აუცილებლობიდან გამომდინარე ცვლილებების გათვალისწინებით. სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი

## **ბიურომ გადაწყვიტა:**

დადგენილების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე

### **მოისმინეს:**

2. საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის მომართვის (N53/3299; 28/07/2020) განხილვის შესახებ, (საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 ივლისის #24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე).

### **მომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე-ლია დეკანოიძე**

მომხსენებელმა ბიუროს მოახსენა, რომ დადგენილებაში ცვლილება ითვალისწინებს ჭალოვანის ადმინისტრაციულ ერთეულში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასასაქმებელ სპეციალისტთა რაოდენობის ერთი ერთეულით შემცირებას და შესაბამისად, ჯალაურთის ადმინისტრაციულ ერთეულში-1 ერთეულით გაზრდას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასასაქმებელი სპეციალისტის ეს პოზიცია, რომლის გადატანაც ხდება ჭალოვანის ადმინისტრაციული ერთეულიდან ჯალაურთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ვაკანტურია. ბიუროს გააცნო დადგენილების პროექტი

### **ბიურომ გადაწყვიტა:**

დადგენილების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ გარკვეული მიზეზების გამო, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე-გაგა დარბაიძე ვერ ესწრება სხდომას, საკითხი განხილულია კომისიაზე, დადგენილების პროექტს გაგვაცნობს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე-ლია დეკანოიძე.

### **მოისმინეს:**

3. საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის მომართვის (N53/2837; 28/07/2020) განხილვის შესახებ, („საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მოსახლეობის სოციალური დახმარების სახეების ფინანსების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 იანვრის #56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე).

### **მომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე-ლია დეკანოიძე**

მომხსენებელმა ბიუროს მოახსენა, რომ დადგენილების პროექტში ცვლილება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ არიან გაჭირვებული ოჯახები, რომლებიც ცხოვრობენ სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებში, და არ აქვთ სოციალურად დაუცველობის სტატუსი და რჩებიან დახმარების გარეშე, ამიტომ შეტანილი იქნა ცვლილება დადგენილების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტში, რომელიც ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „4. საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და მუდმივად მცხოვრებ ოჯახს, რომელიც ცხოვრობს სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებში, არ აქვს ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი და საკუთარი სახსრებით ეწევა საცხოვრებელი სახლის აღდგენა-გამაგრებით სამუშაოებს, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით მიეცემა დახმარება ერთჯერადად არაუმეტეს 3000 (სამიათასი) ლარამდე თანხის ოდენობით, ხოლო ოჯახს, რომელიც იმყოფება სოციალურად დაუცველთა

ერთიან ბაზაში (100001 ნაკლები ქულის მქონე ოჯახი) ამავე პირობებით მიეცემა დახმარება ერთჯერადად არაუმეტეს 5000 (ხუთიათასი) ლარამდე თანხის ოდენობით. ოჯახის საცხოვრებელი მდგომარეობის შესახებ დასკვნას ადგენს ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. დასკვნა საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება ამ დებულების მე-15 მუხლით შექმნილ სამუშაო ჯგუფს.

დაინტერესებულმა პირმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება; ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი; გ) შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის რეკომენდაცია, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ; დ) ცნობა შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლიდან, მასზედ, რომ ოჯახი მუდმივად ცხოვრობს საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; ე) საცხოვრებელი პირობების ამსახველი ფოტო მასალა, დამოწმებული შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ; ვ) განმცხადებლის საბანკო ანგარიში; ზ) ოჯახის სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის შემთხვევაში ცნობა სოციალური მომსახურების საგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ. “

**ბიურომ გადაწყვიტა:**

დადგენილების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**მოისმინეს:**

4. საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის მომართვის (N53/2988; 05/08/2020) განხილვის თაობაზე, („მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების შპს „საჩხერის წყალკანალი“-ს საწარმოს კაპიტალში შეტანის მიზნით საჩხერის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“).

**მომხსენებელი: საკრებულოს ეკონომიკურ და ინფრასტრუქტურულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე- იაგო ბერიძე**

მომხსენებელმა ბიუროს გააცნო განკარგულების პროექტი, საჩხერის მუნიციპალიტეტის შპს „საჩხერის წყალკანალი“-ს საწარმოს კაპიტალში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (რაიონი საჩხერე, სოფელი ბაჯითი, N35.04.43.410 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული უძრავი ქონება, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 248.00კვ.მ. მიწის ნაკვეთი, 1116 ლარის ღირებულების, მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-(მიწისქვეშა) და გადმა-გამოღმა დუნთაში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაო 16368.57 ლარის ღირებულების) სულ 17484.57ლარის ღირებულების უძრავ-მოძრავი ქონების შეტანის მიზნით, მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

**ბიურომ გადაწყვიტა:**

განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**მოისმინეს:**

5. საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის მომართვის (N53/3258; 20/08/2020) განხილვის თაობაზე, (მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის

უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გაცემის მიზნით, საჩხერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ).

**მომხსენებელი: საკრებულოს ეკონომიკურ და ინფრასტრუქტურულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე- იაგო ბერიძე**

მომხსენებელმა ბიუროს გააცნო განკარგულების პროექტი, სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით ორი წლის ვადით, ფიზიკურ პირზე (ოჯახის ექიმი) ლამზირა აბრამიშვილზე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (N35.10.59.056 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული უძრავი ქონების საჩხერე, სოფელი ცხამი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 2006კვ.მ. შენობა-ნაგებობა, საერთო ფართი 73.60კვ.მ.) გაცემის მიზნით მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

**ბიურომ გადაწყვიტა:**

განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**მოისმინეს:**

6. „საჩხერის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების მიზნით 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმისა და 2020 წლისათვის განსაზღვრული პროექტების მოწონების შესახებ” საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 დეკემბრის #54 53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**მომხსენებელი: საკრებულოს ეკონომიკურ და ინფრასტრუქტურულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე- იაგო ბერიძე**

მომხსენებელმა ბიუროს მოახსენა, რომ სამოქმედო გეგმას საჭიროებიდან გამომდინარე დაემატა რამოდენიმე ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც ძირითადად მოიცავს მუნიციპალიტეტის სოფლების შიდა საუბნო გზების მნიშვნელოვანი მონაკვეთების რეაბილიტაციას. ბიუროს გააცნო, 2020 წელს დასაფინანსებელი და განსახორციელებელი პროექტების ჩამონათვალი.

**ბიურომ გადაწყვიტა:**

განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**მოისმინეს:**

7. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებთან დაკავშირებით საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო შეხვედრების ადგილების განსაზღვრის შესახებ.

**მომხსენებელი: საკრებულოს ჰუმანიტარულ საკითხთა (განათლება, კულტურა, ახალგაზრდობა) კომისიის თავმჯდომარე-მარინა კაციტაძე**

მომხსენებელმა ბიუროს გააცნო, საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებთან დაკავშირებით საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო შეხვედრების ადგილები.

**ბიურომ გადაწყვიტა:**

განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**მომხმინეს:**

8. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებთან დაკავშირებით საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტენდების (ბილბორდების) დასადგმელად და საარჩევნო პლაკატების განსათავსებლად ადგილების გამოყოფის შესახებ.

**მომხსენებელი: საკრებულოს ჰუმანიტარულ საკითხთა (განათლება, კულტურა, ახალგაზრდობა) კომისიის თავმჯდომარე-მარინა კაციტაძე**

მომხსენებელმა ბიუროს გააცნო, საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებთან დაკავშირებით, საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტენდების (ბილბორდების) დასადგმელი და საარჩევნო პლაკატების განსათავსებელი ადგილები.

**ბიურომ გადაწყვიტა:**

1) განკარგულების პროექტი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

2) საკრებულოს სხდომა მოწვეული იქნას მ/წ 26 აგვისტოს 11:00 საათზე შემდეგი დღის წესრიგით:

1. „საჩხერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 ნოემბრის #32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**/მომხსენებელი: ლია დეკანოიძე/**

2. საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 ივლისის #24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**/მომხსენებელი: ლია დეკანოიძე/**

3. „საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მოსახლეობის სოციალური დახმარების სახეების ფინანსების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 იანვრის #56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**/მომხსენებელი: გაგა დარბაიძე/**

4. „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მომრავი ქონების შპს „საჩხერის წყალკანალი“-ს საწარმოს კაპიტალში შეტანის მიზნით საჩხერის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

**/მომხსენებელი: იაგო ბერიძე/**

5. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გაცემის მიზნით, საჩხერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

**/მომხსენებელი: იაგო ბერიძე/**

6. „საჩხერის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების მიზნით 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმისა და 2020 წლისათვის განსაზღვრული პროექტების მოწონების შესახებ” საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 დეკემბრის #54 53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იაგო ზერიძე/

7. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებთან დაკავშირებით საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო შეხვედრების ადგილების განსაზღვრის შესახებ.


/მომხსენებელი: მარინა კაციტაძე/

8. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებთან დაკავშირებით საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტენდების (ბილბორდების) დასადგმელად და საარჩევნო პლაკატების განსათავსებლად ადგილების გამოყოფის შესახებ).

/მომხსენებელი: მარინა კაციტაძე/

შეკითხვები და შენიშვნები არ არის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე



ლევან ივანაშვილი